მეორე წრის პირველი მატჩი

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 20 აგვისტო.

“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) – 4:2 (0:1).

მოსკოვი – ბელიაევი, კესარევი, კრიჟევსკი, კუზნეცოვი, ცარევი, სოკოლოვი, შაპოვალოვი, მამიკინი, მამედოვი, ფედოსოვი, რიჟკინი.

თბილისი – ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, კილაძე, ქვლივიძე (მესხი) ბარქაია, ღოღობერიძე, იამანიძე, ჭკუასელი.

მსაჯი: ე. საარი (ტალინი).

მოსკოვი. (ტელეფონით). ძველ მეტოქეთა მატჩი თავიდანვე მეტად დაძაბულ ბრძოლაში დაიწყო. ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდა ორივე გუნდს, მაგრამ მცველთა ზუსტი თამაში უვნებელყოფდა უაღრესად სახიფათო მომენტებსაც კი. ბრწყინვალედ ითამაშა თბილისელთა მეკარემ ს. კოტრიკაძემ, რომლის მიმართ განუწყვეტლივ ისმოდა ტაში ტრიბუნებიდან. მან პირველ ტაიმში წარმოუდგენელი ნახტომით აიღო ფედოსოვის მიერ დარტყმული ბურთი.

პირველი გოლი გატანილ იქნა ტაიმის დასასრულს. ბელიაევმა ბურთი ზურგში მოახვედრა კუზნეცოვს, იგი რიკოშეტით მიიღო ქვლივიძემ, გადასცა იამანიძეს, რომელმაც გახსნა ანგარიში – 1:0.

დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, ფედოსოვმა მამედოვის გადაცემიდან გაქვითა გოლი – 1:2. მალე ცარევმა რიჟკინის გადაცემიდან მეორე გოლი გაიტანა – 2:1.

თბილისელებმა დაიწყეს ცენტრიდან და ღოღობერიძემ ძლიერი დარტყმით დაუყოვნებლივ გაათანაბრა ანგარიში – 2:2.

ამის შემდეგ ინიციატივა მტკიცედ აიღეს ხელთ მოსკოველებმა. კიდევ რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო ს. კოტრიკაძემ, მაგრამ ცოტა ხანში იძულებული გახდა ბადიდან გამოეტანა მესამე ბურთი, რომელიც ფედოსოვმა გაიტანა. 27–ე წუთზე რიჟკინის საჯარიმო დარტყმის შემდეგ მამიკინმა მეოთხე ბურთით დაამთავრა შეტევა.

თბილისელებმა სცადეს კვლავ შეეტანათ გარდატეხა თამაშში, ღოღობერიძეს ჰქონდა კიდეც გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ბელიაევმა და კრიჟევსკიმ მეტად ძნელი ბურთი კუთხურზე მოიგერიეს.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 4:2 მოსკოვის “დინამოს” სასარგებლოდ.

ვ. პავლოვი.
“ლელო”, 22 აგვისტო, 1957 წ.